რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე, თ. მუხრანსკის სახლებ-ში ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ბერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., სხვ. მოკრძილი ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივ ... ზე მეტი.

თუ ხელნაწერები ... და მოქმედნი გამოქვეყნებული წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

წინასწარი კომიტეტი ტფილისის ქალების ქველ-მოქმედ საზოგადოებისა აცხადებს, რომ უმაღლესმა მთავრობამ უკვე დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება და უმორჩილესად სთხოვს ტფილისის სომხის ქალებს, მობრძანდნენ დღეს, კვირას, 7 მარტს დილის 11 საათზე წმ. გაიანეს საქალებო სასწავლებლის სადგომში, სადაც თვით ეს საზოგადოება უნდა გაიხსნას და ამოირჩეს იმის გამგეობის წევრნი. (1—1)

---

სათავადაზნაურო თეატრი

ორშაბათს 8 მარტს

სასარგებლოდ

რამდენიმე ღარიბ მოსწავლეთათვის, რომელთაც მოსპობილი აქვთ საშუალება სწავლის გაგრძელებისა გამართული იქნება

## კონცერტი

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარელისა, ანდრონიკაშვილისა, დავიდოვისა და მაჩაბელისა. ბ.ბ. სტაროჟუსკი, ტოროანი, თარხნიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი, ვ. ალ.-მესხიევი, ა. მოხევე და ცაგარელი და სხვ. (4—4)

---

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 5 მარტს. სამეცნიერო აკადემიის წესების გადაცხვის გამო პროფესორს ბუტლეროვს თანაგრძნობის წერილი მოუვიდა ვარშავის უნივერსიტეტის 28 პროფესორისაგან.

სულთანი თანახმაა სრულებით დაუთმოს ავსტრიას ბოსნია და გერცოგოვინა მხოლოთ იმ პირობით, თუ ავსტრია თავის მხრით დაუხმარება ოსმალეთს, რომ იმან ბალკანის მთების გზები დაიკავოს.

ავსტრიელები ცდილობენ, რომ იაფ ფასად ჩაიგდონ ხელში იმ აჯანყებულ გერცოგოვინელთ ადგილ-მამული, რომელნიც ჩერნოგორიაში გაიქცნენ.

პეტერბურღის ბირჟა, 5 მარტს.

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 96— | 25 |
| მეორესი — — — — | 91— | „ |
| მესამესი — — — — | 91— | 50½ |
| მეოთხესი — — — | 91— | 25 |
| მეხუთესი — — — | 90— | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 90— | „ |
| აღმოსავლეთის მეორე | 89— | 87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 90— | 12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8— | 18 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 216— | 75 |
| მეორე სესხის — — | 211— | 50 |

100 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — | 24— | 6 | პენსი |
| ჰამბურღი — | 204— | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — | 253— | „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — | „ | პფენიგი |

---

## რა კავშირი აქვს ეკონომიურს წყობილებას გონებითს მდგომარეობასთან და რას უფრო ვსაჭიროებთ?

(დასასრული *)

რად არის აქამომდე ოსმალეთი, სპარსეთი, ინდოეთი, ჩვენი ქვეყანა და სხვანი აზიის და ზოგიერთი ევროპის ხალხნი დიდს სიღარიბეში და სოციალურს ცუდს მდგომარეობაში? ეს ქვეყნები თავისის ბუნებითის სიმდიდრით არ ჩამოუვარდებიან იმ ქვეყნებს, სადაც ტრიალებს აუარებელი სიმდიდრე და განათლება? ნუ თუ მოსაფიქრებელია, რომ თუ ამ ქვეყნების მუშა ხალხი გახსნილი იყოს გონებით თავიანთ მტარვალებსავით, მათ ნებას მისცემდა თავის ცარცვისას? მაგიერად, ცოტა არის მაგალითები, რომ ხალხს, თუ მცირედიც არის სწავლას მისცემია, თავისი ვინაობა უცვნია. გამოურკვევია თავისი მომავალი, უკანასკნელ სისხლის წვეთამდის არ დაელევაროს განთავისუფლებისათვის. რა არის მიზეზი, რომ ამ უკანასკნელ საუკუნოებში უფრო მეტი ალრეულება და წინააღმდეგობაა მჩაგვრელ მმართველობისადმი? მგონი ესევე ხალხის გონების გამოღვიძებაა.

იქნება სთქვათ, ეხლანდელი ეკონომიური უთანასწორობაა ამის მიზეზი, მაგრამ აბა ჩაიხედეთ ისტორიაში: წარსულ საუკუნოებში კი ნაკლები უსამართლობა იყო თუ უფრო ბევრი, თუმცა კი ჩაგრულნი არ ებრძოდნენ მტარვალებს ესე მედგრათ, როგორც ეხლა. რა არის მიზეზი, რომ რამდენსამე სახელმწიფოში და რამდენჯერმე ამართული დროშა ჩაგრულთ გამოსახსნელად ძირს ეცემა და თუ არ ეცემა, მაინც ვერ მოაქვს ის ნაყოფი, რისთვისაც აიმართა? მგონი ის, რომ ხალხში ჯერ კიდევ არ გაუდგამს მაგრად ძირკვები მეცნიერების უკანასკნელ სიტყვებს: „ყოველი უნაყოფო ხე უნდა მოიკვეთოს და ცეცხლს დაედოსო“. ვინ სარგებლობს ხოლმე ხალხის დაწყობილის და ომით ნაშოვარ ნიადაგით და საქმით? მგონი ის პირნი, ანუ ის წრეები, რომლებიც ამ საქმისთვის უფრო კარგად იყვნენ მომზადებულნი, და არა მთელი ხალხი. ყველა ეს მოსაზრებანიც მგონი იმას გვიჩვენებენ, რომ საუკეთესო იარაღი ბედნიერების მოპოვებისთვის არის გონებითი გამდიდრება უწინარეს ნივთიერისა და არ ვიცი რა მოსაზრებით თხოულობს ბ. შაქრო—„ჯერ ეკონომიური რიგიანი წყობაო და შემდეგ მორალური და სკოლაო“!

მგონი ეს მაგალითებიც მტკიცედ იცავენ ჩემს აზრს მაგრამ სჯობია კიდევ მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი ევროპის ცხოვრებიდგან, თუ როგორი გავლენა აქვს გონებითს განვითარებას ნივთიერის ბედნიერების დამყარებაზედ.

ერთს დროს აღყვავებული, ნაყოფის მომცემი და მდიდარი ესპანია სულ გაევერანდა ფილიპე მესამის დროს. მიზეზი ამ გაევერანებისა იყო უსწავლელობა, დაბალი ხალხის ცრუ მორწმუნეობაში ჩავარდნა და სასულიერო წოდების გაძლიერება. სასულიერო წოდებას ეჭირა მთელი სახელმწიფო და ყოველ გვარ ხალხის ნალვაწს ახმარებდა ან მონასტრებს და ან თავის მუცელს. რიცხვი აღარ იყო მონასტრების და ბერებისა, თვით მმართებლობა და ხალხი ყოველისფერს მათ სწირავდა და ეს კიდეც სანაქებოდ მიაჩნდათ. ხალხი ჩავარდნილი იყო დიდს უცოდინრობაში და არ იცოდა რით ეცხოვრა; მოქალაქენი გარბოდნენ სოფლებში თავის სარჩენათ, სოფლელნი ქალაქებს ეხვეოდნენ ცარიელის მუცლით. ეს მდგომარეობა იყო თანამედროვე მავრების განდევნისა ესპანიიდგან, იმ მავრებისა, რომელთაც ესპანიის მიწა-წყალი და მეურნეობა მაღალს ხარისხამდე ასწიეს. რათ გარეკეს ისინი? ისევ თავიანთ გონების სიღარიბით და ბერების წყალობით. თვით მათი ნასწავლი ახალგაზრდობა მახინჯს სურათს წარმოადგენდა.

---

*) იხ. „დროება“ № 47.

---

«დროების» ფელეტონი, 7 მარტი

## «ბზიკი»

ხვალის შემდეგ საკითხავი გაზეთი. გამოდის ყოველდღე ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირის გარდა.

### წინა სტატია

— ბიჭო! „Гусьли“?

— Никакъ нетъ-съ, ваше бл—родіе, Цхваржевскій—Чочоровскій.

— რას ამბობ, ბიჭო?

— ჩოჩოროვსკი, ბატონო.

— რა ჩოჩოროვსკი?

— პაცა ჰქვიან, ბატონო.

— მე, ბიჭო, გაზეთს გკითხავ!

— მეც იმას მოგახსენებ, ბატონო. მაგ გაზეთის პატრონს ჩოჩოროვსკი ჰქვიან და, ხომ საშინელი ხუმარა გაზეთია, თავის სახელი აღარ უწოდა, „Гусьли“ დაარქვა, ვნახოთ, გაიგებენ, თუ არაო! აბა ვინ მიხვდება, ბატონო, სად ბატი (гусь) და სად ჩოჩორი! ახირებული ხუმარა გაზეთია! მაგრამ „ბატის“ სახელი სრულებით არ შეჰფერის მაგ გაზეთის პატრონს და იმის კამპანიას. ისევ სჯობდა, თავის სახელი „ჩოჩორი“ დაერქვათ. მართალია, ბატი უშნოთ დალაჯლაჯებს, მაგრამ წყალში ცურვა მშვენიერი იცის; ეგ უბადრუკები კი, ცურვა კი არა და, წყალში რომ ჩაჰყარო, ტყვიასავით ძირ-ძირს წავლენ! ჩოჩორი კი სწორედ ზედ გამოჭრილი სახელია, მე-და ჩემმა ღმერთმა.

— როგორ?

— ასე, ბატონო, რომ ყოველი მაგათი მიმოხვრა, საქციელი და ხუმრობა მხოლოდ ჩოჩორს მოგაგონებსთ. ბაუვლი გვერდზედ, გიტყუპებს წიხლებს; მერე მეტყვის, ვიხუმრეო! შენც აბა სხვა რა პასუხს გასცემ, თუ ერთი რიგიანად არ დასცხებ კეტს ზურგში და მერე არ ეტყვი, მეც გიხუმრეო! რაც ეხლა მაგათ საქმე ჩაიდინეს, ჩოჩრობა კი არა და...

— რა საქმე?

— რაღა რა საქმე! მაგათი წყალობით არ იყო, რომ ეხლა ხან ერთ რაღაც მოსკოვის გაზეთმა რევები არ იუბილა ჩვენზედ! ძინალამ გადგომა შემოგვწამეს და კიდევ ღმერთმა ნუ იცის მაგათი თავი! გადგომაო?! საიდამ, შვილო? ეჰ, მახლას, ის როგორც იყო—იყო... ან ნუ თუ მმართებლობა ეგრე ბრმა და ყრუ გგონიათ, რომ მაგ თქვენს სიმდაბლეს და სისაძაგლეს ყურადღება მიაქციოს?! თქვე ყოვლად გამოშტერებულნო, როდის გაგიგონიათ საქართველოში გადგომა?! რომელი უპირველესი ქართველი გინახავთ, რომ რუსეთის რაზმში არა ბრწყინავდეს? მგონია უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ წინაპართა და აწმყო ნამდვილ ქართველებს არა ერთხელ დაუმსახურებიათ ქება და დიდება მართებლობისა, რადგან მათ ერთგულად უბრძოლნიათ რუსეთთან ერთად მტრის წინააღმდეგ! რაში გვწამებთ ცილს?... არა უმჯობესია, ჩვენ თავი დაგვანებოთ და სხვაგან მოიკითხოთ მაგ ნაირი ხალხი! ციხე შიგნიდამ გატყდებაო, ნათქვამია. თუ ჟანდარმების თანამდებობა გსურთ აღასრულოთ, აქ საჭირო არ გახლავთ, მიაშურეთ იქ, სადაც უფრო საჭიროებაა!

დგენდა. შესანიშნავია ის ფაქტი, რომ მადრიდის მკურნალნი ამჯობინებდნენ ჯან მრთელობისათვის მყრალს ჰაერს, რადგანაც ეს უფრო მძიმეაო! აღკრძალული: იყო მაღალს სასწავლებლებში ყოველ გვარის მეცნიერულის თხზულების კითხვა გარდა არისტოტელისა და წწ. მამებისა. ნიუტონიც კი აღკრძალული იყო. ყველა ამ მიზეზებით სახელმწიფოში კაცი აღარ მოიპოვებოდა, რომ ან ხაზინა, ან მმართველობა და ან ხალხი ფეხზე წამოეყენებინა; ამისთვისაც შემდეგში ბურბონებმა სულ სხვა სახელმწიფოებიდგან გამოიწერეს თავიანთი თანაშემწენი და ამათის დახმარებით ფეხზე ააყენეს ისევ ესპანია.

მგონი, ამაზე ცხადი მაგალითი ეკონომიურის მდგომარეობის დამოკიდებულებისა გონების სიღარიბისაგან აღარ შეიძლება.

თითქმის ამნაირსვე მაგალითს გვაძლევს საფრანგეთიც დიდის აღრეულების წინა წლებში. ამ აღრეულების თანა მედროვე მწერალნი აგვიწერენ, რომ სრულიად გამქრალი იყო ხალხში სამეურნეო განათლება; მამულის მებატონენი პარიჟში სცხოვრებდნენ დროს გასატარებლად და თავიანთი მიწა-წყალი ოხრათ ეგდოთ. ამისთვისაც საფრანგეთის ხაზინა სრულიად დაცემული იყო, სახელმწიფო ვალი ძალიან მოზდილი და ხალხის გალატაკება უკიდურესობამდის მიდიოდა. თუ რა გავლენა ჰქონდა სამეურნეო გაუნათლებლობას ამ სახელმწიფოს დაცემაზედ შემდეგი ფაქტები ამტკიცებენ: საფრანგეთში მიწის ლალა, შედარებით ინგლისთან, ისე დიდი იყო, როგორც 3—2-ზედ, მაშინ როდესაც მიწის გამოსავალი კი საფრანგეთში ნაკლები იყო ინგლისისაზედ, როგორც 8—14-ზედ. ამას გარდა, თვით დაფქვა და გამოცხობა ისე უხეირო იყო, რომ ორის ფუთის ხორბლიდგან სრთის მეტი არა გამოდიოდა გამომცხვარი პური. შემდეგ წლებში, როგორც მიწის მოსავალი ერთი სამათ აქციეს სამეურნეო განათლებით, აგრეთვე დაფქვა და გამოცხობაც ერთიოცათ გააუმჯობესეს.

მაგრამ ამას რომ თავი დავანებოთ და გადმოვიდეთ ჩვენს ქვეყანაში, დავინახამთ, რომ ჩვენ ისეთი მოსავალიც არ გვაქვს, როგორიც ფრანგებს დიდის აღრეულების წინეთ ჰქონდათ, არამც თუ ეხლანდელს იმათ მოსავალთან შეიძლებოდეს შედარება. უეჭველია, იკითხავთ, რა მიზეზიაო ეს? მიზეზი ის არის, რომ ჩვენ ერთ სამუშაო იარაღად ელიასთან პარაკლისის გადახდაცა გვაქვს მიღებული, ან გონჯაობაზე წასვლა და წყალში ამოტურტლა გონჯასი; მაშინ, როდესაც ევროპიელი ამ შემთხვევაში ან არხებს გააყვაინებდა, ან ტყეს გააშენებდა და ან სხვას რასმე ნამდვილს ხერხს მოიგონებდა. ჩვენი გლეხი კი ყოველს ამ შემთხვევაში მარტო თავის მამა-პაპეულს ნიშებს და გონება დამთხვეულ დედა-კაცებს მიჰმართავს ხოლმე.

ავილოთ რომელიმე გადასადები ხელხის ჭირი. ამ შემთხვევაში ევროპიელნი რას შვრებიან? ისინი უეჭველად ან ექიმთან მირბიან, ან ავათმყოფის სადგომს და ხშირად მთელს სოფელსაც სწმენდავენ და ასუფთავებენ, ჰკრავენ გზებს, რომ ჭირი არ გადავიდეს ერთის ადგილიდგან მეორეზე. ჩვენი გლეხი-კი ან ფუფალებს აკერებს გულზე, ან უღელს ადებს კისერზე და აცმევს თეთრს პერანგს რომლისამე წმიდანის სახელზედ, გარბის მკითხავებთან და დაგრეხილის სანთლებით ეხვეწება სახლის ანგელოზს, წითელის ანგელოზს, ყვავილისას, ქუნთრუშისას და ან რომელსამე მამა-პაპის სალოცავს; ბოლოს ავათმყოფს უდებს ურემზედ და მიაქვს სალოცავში, მაგრამ ხშირად გაფიჩხებულს-ღა აბრუნებს. ამისთვისაც არის, რომ ოცს სულში ძლივს ორი ეზრდება დედ-მამას.

ესევე ითქმის საქონლის ჭირზედაც. ჩვენში ჯერ კიდევ ბევრს არა სჯერა, რომ საქონლის ჭირი გადასადებია და შეიძლება ერთის საქონლის მძორიდგან მეორეს გადაედოს. ამისთვისაც, საქონელი რომ მოკვდება, გადააგდებენ შუა გზაზედ ძაღლების საჭმელათ დაჰკლამენ, ხორცს კაჩოზედ ჩამოჰკიდებენ და ან სველ ტყავს დერეფანში გაართხომენ თითქოს აქედგან არ შეიძლებოდეს ჭირის გადადება სალს საქონელზედ! ყოველ ამ შემთხვევაში ჩვენს გლეხს აქვს შელოცვა და თუ გაჭირდა, ნაკურთხის წყლის დალევინება. ტყეშიაც რომ დაჰკარგონ, მგელს ულოცვენ კბილების შეკვრას და საქონელს ტოვებენ მგლის ანაბარად. ამისთვისაც არის, რომ ჩვენი ხალხი ჰყიდულობს ყოველ წლივ საქონელს და იმავე წელს ისტუმრებს შაბზედ.

რაც აქ მიწის შემუშავებაზედ და საქონელზედ ვსთქვით, ესეც საკმაოთ გვაჩვენებს რომ არავითარი კანონთ ცვლა და სიმდიდრის შეძენა, ანუ ეკონომიური რიგიანი წყობა არ უშველის ჩვენ ხალხს, სანამ მისი გონება არ გადახალისდება, არ მოშორდება იმ ფეტიშიურ რწმუნებებს და არ შესცვლის თავის შეხედულებას ქვეყნიურს მოვლენებაზედ, ე. ი. მიიღებს თანამედროვე მეცნიერების განათლებას მცირედიც არის. თუნდა მთელი ნახირებიც მივსცეთ გლეხებს, მაინც ისევ ისეთი ჭირი და ხოცვა იქნება საქონლისა, როგორიც ეხლაა; თუნდ მთელი მიწებიც მათ ჩავაბაროთ, მაინც ისინი თავიანთ გონჯაობას და მლიებზედ სიარულს იხმარებენ მეურნეობის გასაუმჯობესებელ იარაღათ; და აბა რა რიგიანი ეკონომიური რიგიანი წყობილება შეიძლება დამყარდეს მათში? ამისთვის გულცილებელათ საჭიროა ჩვენის ხალხის გონების შერყევა და გამოფხიზლება.

თვით მამულის შემუშავება ისეთი რთული საგანია, რომ გარეშე კა[illegible] ერთის ჩვენებით [illegible] შეეძლ[illegible] კეთესდეს. ვ[illegible] „Русскій рабочій северо-амер. плантатора“, მგონი იმას ახსნა აღარ და-ჭირდეს, რომ აქ არამც თუ ფურგუნებით, და პავოსკებით, როგორც ჰფიქრობდა ერთი ჩვენი მწერალი კარეტებით და ორთქლ-მავალ მაშინებითაც არ შეიძლება რიგიანის ეკონომიურის წყობილების დადგენა. სანამ გლეხის გონება იმ სისხლად და ხორცათ გარდაქცეულს პაპეულ ჩვეულებებს და . ცრუ-მორწმუნებ[illegible] არ შესცვლის, ე. ი., სანამ ის არ შესცვლის თავის შეხედულებას ქვეყნიერებაზედ, სანამ ის არ ირწმუნებს მცირედიც არის მეცნიერების ძალა[illegible] სანამ კარგს კითხვას არ ისწავლის, რომ შეეძლოს თქვენი დარიგებანი წაიკითხოს; — მანამდის, ვიმეორებ, ჩვენი ხალხი ისევ იმ მდგომარეობაში იქნება, რა გვარშიაც აქამომდე ყოფილა.

თუ ქრისტიანობას ვერ მოუშლია თვრამეტი საუკუნის განმავლობაში ვერც ქადაგები, ვერც მკითხაობა და კერპთ თაყვანის ცემა ჩვენ ხალხში; თუ ეს ქრისტიანობა თვითონ აქამდის ვერ შესთვისებია თავისის უკეთესის მხრით, მაშ უთუოთ ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ კაი ცრუ-მორწმუნე ყოფილა და მისი განკურნება ნურა-ვის ნუ ჰგონია ფურგუნების შემოღებით მოხდეს, ან მღვდლების ორიოდეს სიტყვის ოქმით ეკკლესიაში. აქ მარტო მეცნიერებას შეუძლია ნაყოფის მოტანას და ჩვენც ამ[illegible] უნდა ვეცადნეთ, რომ ხალხში სწავლა განათლებამ ფესვი გაიდგას.

ან რად გვინდა ფურგუნებით და პავოსკებით, დიდრონის მამულ-დე-დულით, საქონლის ჯოგებით დატვირთული გლეხი, თუ რომ ის მოკლებულია ყმაწვილობითვე ყოველ-გვარ გულ შემატკივრობას, თუ რომ იმას ყმაწვილობითვე არავინ ჩაუ-

## ახალი ამბები

„ბზიკის“ კორრესპონდენტი იწერება ნაქულბაქევიდგან: „დიდის პატივით მიიღო ერთი ჩვენებური გაზეთის „სიზაკვაკ“-ის კორრესპონდენტი ჩვენმა ახალმა მმართველმა. მადლობა გადუხადა ამ გვარი პატივისცემისთვის „ზაკვაკ“-ს და იმის კორრესპონდენტს უბოძა, ანუ უთავაზა ორდენი წმ. „პანჩურისა“. ხოლო თვით რედაქტორი, როგორც ხმა ისმის— ამბობს კორრესპონდენტი—წარდგენილი იყო ერთს სხვა ორდენზე, რომელიც, მგონია, მიუღია კიდეც“.

* *
*

ჩვენივე კორრესპონდენტი იწერება წყალ-წითელიდგან: „დიდი ამბებია ქუთაისში, ახირებული მოვლენა, არა ჩვეულებრივი შემთხვევა! ვისაც ქეიფი და მაძღარი სადილები გინდათ, აბა ეხლა მომართეთ ჩვენს ქუთაისსაო. სადილები, მაგრამ რა სადილები! ზუთხები, ბატონო, ისიც ჩადებულები, დოში ლომით, მშვენიერი ხარშო, თევზეული ყოველი გვარისა, მწვრები თავის საწებლით და კაი ღვინო! მთელ კვირას ასე გაატარებ დროს დღეს ერთთან, ხვალ მეორესთან და ამ გვარად, რომ სულ არაფერი არ დაგეხარჯებათო; გარდასახადი მხოლოდ ერთი „თეთრი კენჭიაო!“

„თუ ვერ გაიგეთ — ამბობს კორრესპონდენტი მოგახსენებთო. მალე თავად-აზნაურობის წინამძღოლის არჩევა იქნებაო და ერთი ხუთიოდ პირიაო, რომელთაც სადილებით უნდათ იშოვონ ეს თანამდებობაო, სხვა კი არა იფიქროთ-რაო! ამ ხუთ პირს ორი ბლაღოჩინიც დაუმატოთ და შვიდი გამოვაო, ესე იგი მთელ კვირაში ყოველ დღე მსუქანი სადილებიო. იცოდეთ, ვისაც ამოირჩევენ, იმას ყველაზედ კარგი სადილები ჰქონიაო.

„ყოველი საზოგადო საქმე ჩვენში ამ გვარად სწარმოებსო, უმატებს კორრესპონდენტი.

* *
*

ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. ფ—შვილს უთხოვნია არტისტკა „ბული-ბულისთვის“, რომ ოპერაში მონაწილეობა მიეღო. არტისტკას მოუთხოვნია თეატრის გადაკეთება და გადიდება. ბ. ფ—შვილს დაუწყვია თეატრის გადაკეთება, მაგრამ მერე ჯამაგირზედ ვერ მორიგებულან და ამიტომ ტფილისში ოპერა აღარ იქნებაო. შემდეგ ამისა ფ—შვილს გამოუწერია ქუთაისიდგან „ოსეტროვის დრამატიული ტრუპი“; მაგრამ იქიდგან უარი მოსვლია: ჩვენ რომ აქიდგან წამოვიდეთ, მთელი ქუთაისი აბუნტდება და თავებს დაიხოცენო. ფ—შვილი გაჯავრებულა და უთქვამს: თქვენი თავის გახეთქამ, ძალიან გაიბერეთ, აქ კი ვერ ვიშოვნი მოთამაშეებს და მომღერლებსაო! ვსთხოვ ჩემს ამაგდარ ამხანაგებს ტ—სკის და იმის კამპანიასაო და, აბა ვენახოთ, ხალხი ივლის, თუ არა ძროლოვის „კვარტეტის“ სანახავათაო.

## ტელეგრამმები.

საიქიო. ტარტაროზიანთ უბანი, 5 მარტს. „რა ღმერთი გაგიწყრათ—თავის ხელით იწერება მირზოაშვილი— ამდენი ხანია ერთი „პაქარის“ ხმა არ მომსვლია! სულ დაგიქდით, თუ რა ამბავია? თქვე ოხრებო, გეუბნებით სხვა ნაირად ვერ გამდიდრდებით-მეთქი! ამბობენ, ეხლა-ხან შ—ვის სახლებს ცეცხლი გაჩენია და იმ წამსვე გაუქრიათო. სად იყო ის ბედოვლათი პატრონი,—ერთ ორ გირვანქა ნავთს მაინც დაასხამდა და მაშინ ტარტაროზებიც ველარ გააქრობდნენ! რა ენაღვლებოდა, ხომ „სტრახში“ ჰქონდა შეტანილი.

სხვა ტელეგრამმებზედ უკაცრავოდ, გზები შეკრული გახლავთ.

რედ. ჩაჭყაპე.

—

ნერგა, არ ასწავლა, რომ კაცს ვალად სდევს, ცხოველურის სიცოცხლის გარდა მორალური, კაცური ცხოვრება. ის სიდიდეში ამ აზრს ვერ მიხვდება და თუნდაც მიხვდეს, გულში ვერ ჩაიტანს. საიდამ შეიძლება რიგიანის განწყობილების დამყარება ურთიერთშორის, როდესაც ამისთვის მოუმზადებელი ჩვენი ტვინი ყოველთვის იმასა სცდილობს რომ სხვას გამოაცალოს ლუკმა და თითონ ჩაიდოს პირში! ჩემის ფიქრით, მაშინ უფრო ცუდი შედეგი უნდა ჰქონდეს სიმდიდრის შეძენას, როცა ტვინმა სხვა უვარი მუშაობა არ იცის გარდა გამდიდრებისა, მინემ მაშინ, როდესაც ეს სიმდიდრე არ აქვს. სულელებიც კი იძენენ ფულს, მაგრამ როგორ ხმარობენ? ესევე უნდა ვსთქვათ გაუნათლებელ ხალხზედ. თვით ის პირნი, რომელთ ხელში არის ეხლა კაპიტალი და რომელნიც სწოვენ ტვინს ხალხსა, განა ნაკლებ იდიოტობას წარმოადგენენ? რათა? იმისთვის რომ დედის ძუძუსთან ერთად უწოვიათ ფულის შოვნის წადილიც და მათი ბუნებაც ამ წადილით აღვსილა, ამასთანავე ახვა გვარი მოთხოვნილებანი დასდუმებიათ და ბოლოს კიდეც გამქრალან. ამისთვისაც ისინი სხვანაირს ბუნებითს მოთხოვნილებას ვერ გრძნობენ. ახლა იმაზედ ვსთქოთ, რად გამოდის ამ მდიდარს ხალხს უჭკუო შვილები, ანუ „დაუსტვინე დაათვხები?" საიდგან წარმოსდგება ის მოვლენა, რომ მდიდრის შთამომავლობა თითქმის მუდამ უხეირო გამოდის და თავის მამა-პაპეულს ნაწყალობებს უხეიროდ, უსარგებლოდ ჰფანტავს? ეს მოვლენა უნდა მივიწეროთ იმას, რომ ცარიელი ქონება ჰბადებს უზრუნველობას ტვინისს და ეს ტვინის დახავსიანება ჰბადებს სიამაყეს, ამპარტავნობას რომელიც ნებას არ აძლევს თავის თავის უსრულებაზედ ეჭვის შეტანას და მაშა სადამე მეცადინეობისასაც თავის დაცვისას ახალის გარემოებისაგან, მაშინ როდესაც სიღარიბეში აზრდილნი და მოკლებულნი ამ გვარს ხასიათებს ყოვლის გზით მიილტვიან სარჩოს საშოვნელად და ბოლოს კიდევ პოულობენ.

ყველა აქ ნათქვამ მიზეზებს გარდა არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს უსიცოცხლობას და რომელის აცილება ჩვენ შეგვიძლიან მარტო განათლების გავრცელებით ჩვენს ხალხში. ეს გახლავთ ჩვენი მოქიშპე, გარს შემოხვეული უცხო ხალხი, რომელთაც ჩვენზე უფრო უკეთ შეუსწავლიათ ცხოვრების კანონები და ამითი იბრძვიან არამც თუ ბუნებასთან, ჩვენთანაც. დღეს თუ ხვალ უნდა მოველოდეთ, რომ ევროპის მუშა, მცოდნე ხალხი აქეთაც, ჩვენს ქვეყანაშიაც, გადმოვა და მაშინ ისინი მგონი მეურნეობის და მეცნიერების ცოდნით უფრო მაღლა იდგებიან, სანამ ჩვენ ბუნებაზედ. დღეს ვხედავთ, რომ ჩვენი ნაწარმოები არ მიდის სამზღვარ გარეთ და თითქმის იქიდგან შემოდის პირველი სახმარი ნივთები.

ნეტა რა არის ამის მიზეზი, ერთი შემატყობინონ იმ პირთა, რომელნიც იძახიან:—ჯერ ეკონომიური განწყობილებაო და მემრე სწავლაო, რომ თითქმის ყოველ წლივ რომელიმე მაზრა იმშევა? რა მიზეზია, რომ ჩვენ ეხლაც კიდევ მცირედი გვაქვს, ვინემ საშუალ საუკუნეებში ევროპიელებს? ის მიზეზია, რომ ჩვენი ცრუ-მორწმუნეობა, ჩვენი გონებითი სიხავსე ნებას არ გვაძლევს შემოვიღოთ საუკეთესო იარაღები და შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება. ჩვენ ეხლავე ვართ ევროპის საშუალ საუკუნეების დროს, როდესაც ის ემშვობოდა ქაჯებს, კუდიანებს, მეჯადოებას, ქადაგებს და მკითხავებს. სკოლებით და სწავლით უნდა დავსცეთ ჩვენ ახლა ყოველი უწესო, უაზრო და მავნე ჩვეულებანი და მოქმედებანი. უნდა მოვაშოროთ ხალხს კისერზედ მხსდომი წურბელები, მაგრამ ეს წურბელები იმისი ათასის წლის შვილები არიან, თავის ძუძუთი დაუზრდიათ, თაყვანს სცემენ, იმათ,—და აბა, სანამ ხალხს არ დაარწმუნებ, არ გადაარჯულებ, არ ამოუფხვრი ამ მამა-პაპეულს ნაანდერძევ ცრუ შეხედულებას ქვეყანაზე და თავის სისხლის მწოველებზედ, როგორ გინდა, რომ ის ფეხზედ ადგეს და რიგიანი ეკონომიური განწყობილება დაამყაროს?

ამ ნაირად, ცხადია, რომ ჩვენის ხალხის სიღატაკის და დაცემის მიზეზი უფრო არის მისი ცრუ-შეხედულება ქვეყნიურს მოვლინებაზედ და მისი გონებითი და სარწმუნოებითი სიხავსე, და მაშა სადამე, თუ გვინდა დაუმკვიდროთ ამ ხალხს კეთილ-დღეობა, ვცდილობდეთ, მარტო ჩვენის ნაწარმოებ-გამოსავლის გადიდებას-კი არა, არამედ განათლებულის და განსწავლულის მემამულეთ განხილებასაც, მათს ზნეობით და ხასიათით განვითარებაზედაც.

ჭონი

## დღიური

ერთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან პეტერბურღის ქალაქის რჩევამ წარუდგინა უმაღლესს მთავრობას თხოვნაო, რომ ახლანდელ გადასახადის მაგიერად (სახლის მეპატრონეებზე, სახლის ფასის $^1/_4\%$) დაინიშნოს გადასახადი სადგომებზე და ამასთანავე ყველას, ვისაც სადგომი (კვარტირა) აქვს, ხმის უფლება ჰქონდესო ქალაქის თვით-მმართველობაში (ქალაქის რჩევის ხმოსანთ ამორჩევაში კენჭი მიეცესო.

პეტერბურღს გარდა, რუსეთის ზოგიერთ სხვა ქალაქებსაც წარუდგენიათ უმაღლესს მთავრობასთან ეს შუამდგომლობა; სხვათა შორის ჩვენს ქალაქის რჩევაშიაც აპირებენ ამაზედ მოლაპარაკებას. ამის გამო, როგორც ამბობენ, შინაგან საქმეთა სამინსტროს განზრახვა აქვსო, მთელ რუსეთის ქალაქებისათვის შემოიღოს ეს წესდება გადასახადის შესახებ.

***

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული ოინები, რომელიც ჩაიდინა ბერლინში ერთის ჩვენ შემარცხვენელ თანამემამულეს თ. გ. დ. ერისთავს. მოყვანილი იყო, რომ ამ ერისთავს ბერლინის სასამართლომ ჩამოხადა პატივი და ორის წლით საპყრობილეში ჩასმა გარდაუწყვიტა. ნემეცურ გაზეთებში იწერებიან ახლა, რომ იმპერატორს ვილჰელმს უპატიება ამ ერისთვისათვის მხოლოდ იმ პირობით, რომ განდევნილი იქმნეს გერმანიიდამ და აღარ ჰქონდეს უფლება, რომ ოდესმე გერმანიის ნიადაგზე ფეხი შემოდგასო.

***

ხვალინდელ სხდომაზე ჩვენი ქალაქის რჩევა, სხვათა შორის შემდეგ საგნებს განიხილავს:

მოხსენება ქალაქის გამგეობისა ქალაქის ხაზინის შემოსავალ-გასავლის ანგარიშის წარმოებისა;

წინადადება ხმოს. ელიმირზოვისა გალავინის პროსპექტის მორწყვაზედ;

წინადადება ხმოსნების სტეპნიცკისა და ელიმირზოვისა იმის შესახებ, რომ რადგან ქალაქს განზრახვა აქვს მთელის ქალაქისათვის წყლის არხები გაიყვანოს, ამის გამო კერძო პირთ აღეკრძალოს ამ არხების გაყვანა;

მოხსენება ქალაქის გამგეობისა „დანნების" მიცემის შესახებ;

ქალაქის სასწავლებელთა კამიტეტის წევრთა ამორჩევა და სხვ.

***

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ერთის მხატვრისათვის შეუკვეთნიათ გადახატვა საბა-სულხან ორბელიანის სურათისა, რომელიც, როგორც ამას წინათ მოვიხსენეთ, პეტერბურღის სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილა, და ამ დღეებში მოელიან აქ ამ სურათისაო.

***

კიდევ სურამის მომრიგებელ მოსა-

---

„ბზიკის" ფელეტონი, 35 მარტს.
უჩინო-ჩინიანებს.

### კ—ვს.

მოგვილოცავს ჭკვის დაცემა,
თვალთ სიბრმავე, ყურთ მოკლება!..
სისულელის გაგრძელება
და კაცურ აზრის მოკლება!

—

შენ გსურს დიდი ვინმე გახდე,
იშოვო პატივი, ჩინი;
მაშ ნულარავის დაზოგამ,
ყველაზედ იყარე ჟინი:

—

ზოგი კარგად შეაბეზღე,
ზოგი მოჰკალ, ზოგიც სჩეხე!..
რაც შენ ჯაშუშობით გვავნო,
შენს წინაპრებს დააკვეხე!

***

### რ—ვს.

დაბერძალდი... უნიჭობით
გსურდა...ვერ ჰპოვე ჩინია!
ყველას ფეხ-ქვეშ უგორდები,
როგორც რომ წუწკი ფინია!

—

ბეზღება კარგი გცოდნია,
ახლა მიეშურე ჩინსა!..
მხოლოდ ეგღა ეჭირვება
მაგ შენს გალაყებულ ტვინსა!

***

### ტ—სკის.

შენ რაღას სჩმახავ, მიჰქარამ,
იძახი „შაბაშ-შაბაშო"!
შე ტუტუცების ხემწიფევ,
მაიმუნთა უსტაბაშო!

—

ღვთის მადლით შენც დაგხვევია
თავს უმეცრების ბურუსი!..
ნეტავ რას აუტეხნია
ეს მაჯლაჯუნა ბუ—რუსი!

***

### ა—ნს.

შენც ფეხის ხმას გამოუდექ,
შე კუსპარა, თაგვის კუდო,
შე ტიკჭორა, მაიმახო,
ენა ბილწო, გულით ცუდო?!

—

ჯაშუშობა სხვა რიგია,
რას როშავ, რას ეწვალები?!
შენს გარე რომ ვერას ხედავ,
მიტომ გამოგძვრა თვალები!

—

ზემოხსენებული ხუმრობა გუშინ სიზმრად გადმომცა ერთმა პირმა. უნდა მოგახსენოთ, რომ, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი დიდმარხვაში, მარხვას ვინახავ და გიახლებით მხოლოდ ლობიოს. მაგრამ ძალიან ცუდი სიზმრები კი იცის ამ დაწყევლილმა ლობიომ. ერთ წამს არ მოგასვენებს, სულ ვაი-ვაგლახში ხარ. ხან ნახავ, რომ პ—ვი ისეთი დიდი კაცი გამხდარა, რომ, როცა ქუჩაში მიჰყავთ, რჯულიანი და ურჯულო ყველა ქუდს უხდის! ხან ნახავ, რომ იმის ტფილისელ კორრესპონდენტს ინდოურის თავი გამობმია... მაგრამ უკაცრავად, ნამდვილათაც ეგრე გახლავთ, სხვა უნდა მეთქვა: ხან ნახავ, რომ არტილერიის კამანდირობა მოუციათ და არ იცი, როგორ მოუარო ამ თანამდებობას... ვინ იცის, კიდევ რამდენი რამე.

სწორედ ამ მდგომარეობაში გახლდით, როდესაც მოვიდა ჩემთან ერთი კოჭლი და ცალი თვალით ბრმა არხეოლოგი და მომიტანა ზემოხსენებული ლექსები, სიგელები და ერთი პაკეტიც. „დაბახანაში გამოვიჩხრიკე ეს დოკუმენტებიო". მე ვუთხარი, ჩემს გაზეთში ამ გვარ ხუმრობას ალაგს ვერ მივცემ-მეთქი. იმან მიპასუხა: ეგ ლექსები იმისთანა ხალხს ეკუთვნის, რომ სწორედ მაგ ენით უნდა იყოს დაწერილიო. არ გაგიგონია ლათინური ანდაზაო: *similis simili gaudet!* ქართული ანდაზა ხომ მაინც გაგიგონიაო: „კარგთან კარგი იყავ, ავთან ავიო", „ამყოლს აჰყე, დამყოლს, დაჰყეო!"

სიგელებს მერე წაგაკითხებთ, ჩემო მკითხველო; მხოლო პაკეტზედ შემდეგი სწერია:

№—ს

ნეტავ შენი რედაქცია
ერთ დღეს სულ ფულად აქცია!

რედაქტორი და გამომცემელი
ჩაჩუაშვ.

საჩივარი! შწყებას უგზავნეა საათზედ გამოცხადვითონ კი ძლივს პირველს და ხან მეორე საათზე მობრძანდება სასამართლოში საქმეების განსახილვათოა.

* * *

რაჭიდამ გვწერენ, ერთს წელიწადზე მეტია, რაც ქვემო-რაჭის მცხოვრებლებმა ბ. ქუთაისის ღუბერნატორს შუამდგომლობა სთხოვესო, რომ ამ მაზრის სასამართლო ადგილები დ. ონიდამ სოფ. ამბროლაურში გადმოეტანათ, რადგან ეს სოფელი მთელი ამ მაზრის შუაგულ ადგილად ჩაითვლებაო; მაგრამ ამ თხოვნის თაობაზედ ქვემო-რაჭველებს ჯერაც არავითარი პასუხი არ მოსვლიათო.

* * *

„1880 წელს აპრილისა თუ მაისის თვეში, მივართვი არზა ტფილისის სინოდის კანტორას, რომელშიაც მოხსენებული იყო ჩემი თხოვნა, მეტრიკის მოცემაზედ. კანტორაში, თუმცა გამინჯათ ეს თხოვნა, მაგრამ რადგან არავითარი მოწმობა არ ყოფილიყო წარმოდგენილი, ჩემის მომნათვლელის მღვდლისაგან სოფ. ატოციდამ, ამის გამო სინოდის კანტორამ დანიშნა გამოძიება.

„რადგანაც მეჩქარებოდა, მე თვითონ ეკისრე კონვერტის წაღება ბლოლოჩინთანა სოფ. რუისში. წავიღე და ესთხოვე ბლოლოჩინს, ძალიან საჭიროა-მეთქი და თუ შეიძლება ადრე მოახდინეთ გამოძიება. ბლოლოჩინმა დამინიშნა შემოკლებული ვადა, რა დროსაც უნდა მოეხდინა გამოძიება სოფელს აბანოში, სადაც მე დავბადებულვარ. მართლაც ამოვიდა თავის დანიშნულ ვადაზედ და მოახდინა გამოძიება, აქ დაესწრნენ ექვსი მოწრებული კაცები, ჩემი ნათლია, თვითონ სოფლის მღვდელი მ. დიდებულიძე და აგრეთვე სოფელ ნაღვლელი მღვდელი, რომელიც ბლოლოჩინის მხრით იყო მოწვეული გამოძიების დროს.

თუმცა ბლოლოჩინმა არავითარი დაბრკოლება არ მომაყენა, მაგრამ ეს არის უბედურობა, რომ თვით სინოდის კანტორაში მსახურთაგან მიგვიანდება; ხშირად დავდივარ იქ ჩემის საქმისათვის, მაგრამ აგერ მესამე წელიწადი გავიდა, არაფერ ყურადღებას არ აქცევენ ჩემ საქმესა. ამის უკან დღეისთა ყოველს ჩემ საქმეს ესცდებიო“.

ილია ხუციევი.

## რუსეთი

(გაზეთებიდან)

ზეირგვენის კურთხევაზედ მოსკოვში მოვლენ შვედიის, საბერძნეთის, სერბიის მეფენი და ბოლგარიის მთავარი.

— ახალს ცირკულიარში განათლების მინისტრისა სამასწავლებლო მზრუნველთ მიმართ ის აზრია გაყვანილი, რომ, თუმცა ამ უკანასკნელ დროს ხშირად თხოულობენ სამასწავლებლო მზრუნველები მოსწავლეთ სწავლის ქირის მომატებას, მაგრამ, რადგან ყოველი მომეტებული ხარჯი, რომელიც უნდა დადახდეს მოსწავლეთ, შემავიწროვებელი და მძიმე იქნება მშობლებისათვის ამ სიძვირეშიო, ამისათვის მე, ვითხოვო, ამბობს ცირკულიარში სახალხო განათლების მინისტრი, რომ ყოველი გადასახადის მომატების პროექტი წინ დახედვით იყოს შემოტანილი სამინისტროში, და რაც შეიძლება ცოტ-ცოტა და თან-თან მოემატოს მოსწავლეთ გადასახადს. ყოველს შემთხვევაში იმდენი უნდა მოემატოს ამ გადასახადს, რამდენიც სასწავლებლის საჭიროების დასაკმოყოფილებლათ იქნება განსაზღრული და აუცილებელს ხარჯს შეადგენსო.


# განცხადებანი

—

დასყიდვა აღდგომამდის

ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50-დამ. შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაფი, მაუდი, ტრიკო, ჩოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; სიგარები 1 ხარისხისა — 70 კ. და ყიდვა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები—ტახტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს—ჩესტერ 60 კ. გირვანქა. ახალ-ახალი — წმინდა და ვერცხლის სანთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რკინის ტახტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საზამთრო 4 მან. და სადილო 14 მანეთიდამ. (15—3)

# სალიანი

საკუთრად თევზეულის მაღაზიაში, თამამშოვის ქარვასლის ქვეშ, ახლად მივიღეთ სალიანიდამ ნამდვილი სალიანის შამაიები და ისყიდება ნაკლებ ფასად, როგორც პარტიობით ისე წვრილათაც. (5—1)

იურიდიული კაბინეტი

იურიდიული ბიბლიოტეკით

დაარსდა გოლოვინის პროსპექტზეს არხიტეკტორის ბილოვის სახლში კელბერის პირ-და-პირ.

მთხოვნელს მიიღებენ დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდის და 7-დამ საღამოს 10 საათამდი.

ამ კაბინეტის პირობა და ტაქსა გამოცხადებულია და ცალკე დარიგდება. (30—4)

საამო განცხადება.

ვისაც სურს ნამდვილი კახური ბუნებითი, არომატიული ღვინოებით დაატკბოს თავისი გემოვნება, ინებოს და მიირთვას ღვინოები „ალაზნის“ სარდაფისა, სოლოლაკის ქუჩაზედ, დეკანოზის ორბელის სახლებში № 14, თავ. ირაკლი გრუზინსკის სახლის პირ-და-პირ. (6—6)

ინგლისის მაღაზიაში

თმისამ-შვენი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკავილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—100)

ლონდონის მაღაზია კომერციუ და ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი ძოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, ძმრ კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბიგინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაგისტომის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამშ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჰავანას სიგარები. (100—84)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: პაროსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—73)

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში

იგავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

# ევგენი ბერნექს

ვორონცოვის წყლის ნაპირა ქუჩა, № 46, საკუთარი სახლი ქ. ტფილისში.

სადურგლო და სამალიარო ქარხიდა.

შპალერებისა და მარმარილოს და თუჯის ავეჯეულებათა. (5—2)

# ისყიდება

25% ნაკლებ ... ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, ... რაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქ... ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდო... ბი, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლი... ები, სამურკელი, ტანისამოსის საკ... კოვზები, დანები, კალმები, ქაღალ... კანვერტები, რვეულები, კარანდაშ... თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლა... ჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლ... ონკა, უნაგირები, ლაგმები, უთო... ტახტები, პირისახოცი, ცხვირის-სახო... ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხ... შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვი... ნო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი ... ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მა... ლაზიაში. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნა... დათ: ფუთობით 40, 46, 52 და ... მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხ... 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბო... (choke bore) George Dau-ს ფაბრი... კიდამ—120 მან. რევოლვერები 4—3... მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალ... უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის და... ნები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-და... დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილ... ტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფე... ბისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—93)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბა... ლის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნე... სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებ... გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.


ტაქსის

აკვებიდ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახტარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 13 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Марта 1882 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.